



## ჩემი ამბავი

*ანგელინა ფურცელაძე-სარუხანაშვილი , 85 წლის, საგარეჯო*

ჩემი განვლილი ცხოვრების დიდი ნაწილი მანაველი პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნვას შევალე. ოთხი შვილიც გავზარდე....

საბედისწერო შემთხვევამ რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრების რიტმი. საბოლოოდ მივეჯაჭვე ინვალიდის ეტლს.

ჩემმა შვილებმა თავ-თავიანთი ცხოვრების გზა მოძებნეს, თუმცა მე უყურადღებოდ არ დამტოვეს. მაგრამ მე მაინც თავს მარტოსულად ვგრძნობდი.

გაგიკვირდებათ და მიუხედავად ჩემი ხანდაზმული ასაკისა, გონებაც ისევ-ისე ძველებურად მომდევს და გულიც მერჩის საქმის საკეთებლად, მაგრამ ჩემმა ფიზიკურმა მდგომარეობამ შემზღუდა, მიუხედავად ამისა მაინც ენერგიულად ვებრძვი ცხოვრებას ეტლიდან.

მარტოობისგან დაღლილი, მუდმივად ადამიანის მოლოდინში მყოფი თავს გარიყულად და უსარგებლოდ ვგრძნობდი.

ჩემდა გასაოცრად ერთმა ლამაზმა დღემ შეცვალა ჩემი დარჩენილი ცხოვრება, იმედიტ გაავსო ჩემი გული, კვლავ სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა. ერთ დღეს წითელი ჯვრის ახალგაზრდები მეწვივნენ და მითხრეს: წითელი ჯვრიდან ვართო. გამიკვირდა და თან ძალიან გამეხარდა. მივხვდი რომ ვიღაცას გავახსენდი. შემდეგ დაიწყეს სტუმრობა ხშირად... მოხალისეებმა შეძლეს, რომ მე ცხოვრების ჟინი, ხალისი და ბენდიერი წუთები დამბრუნებოდა. ჩემთან საუბარს, ნარდის თამაშს და ახალ-ახალი ამბების მოყოლას ერთმანეთს არ აცლიდნენ. მეც პატარა ბავშვივით ავყვები და მავიწყდება რომ მარტო ვარ... არაც ჩემი ინვალიდობა მახსენდება. ერთხელაც მითხრეს რომ სოციალური ცენტრი აქვთ, სადაც ჩემი თანატოლები დადიან და საქმეებს აკეთებენ, როგორ კი გავიგე რომ ქსოვენ კიდევ, სიხარულისაგან ავცრემლდი, რადგან ძალიან მინდოდა მათ გვერდზე ყოფნა, მინდოდა რომ მესწავლა და მესწალებინა მათთვის, რადგან ძალიან მიყვარს ეს საქმე, მაგრამ როგორ... საქართველოში ინვალიდის ეტლით ვერ ივლი სადაც გინდა და როგორც გინდა. ხოლო თუ კი როგორმე ერთხელ მოახერხე (უამრავი ხალხის დახმარებით) შემდეგ რაღას იზამ, ყოველდღე შენს ირგვლივ როგორ იქნება 5-6 ჯან-ღონით სავსე ადამიანი, რომ ამ ცენტრში მატარონ და თან ხელით უნდა ამზიდონ. ეს შეუძლებელია და ამიტომ ის პირველი სიხარული და აღტკინება უეცრად დამიცხრა,

მაგრამ მერე გამახსენდა... გამახსენდა, რომ შესაძლებელია მასალები მომიტანონ და სახლში მოვქსოვ და გავაგზავნი, ამით წავეხმარები და საქმესაც გავაკეთებ. ასეც მოიქცნენ... საქმიანობათა ჯგუფში ჩამრთეს (ქსოვის ჯგუფი). ვქსოვ წინდებს, შარფებს, ჩემი ნაქსოვები მიაქვთ ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაზე, არადა როგორ მინდა ცალი თვალით მაინც შევხედო ჩემს ნამუშევრებს გამოფენაზე, მაგრამ ... როდესაც გაყიდიან და მახარებენ ხოლმე ამ ამბავს, სიხარულისაგან ისევ ცრემლები მცვივა...

ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამ ასაკში მე კიდევ შევძლებდი ჩემი შესაძლებლობების რეალიზებას და ამით საზოგადოების დაინტერესებას.

ისე კი ძალიან მინდა, რომ ისეთი სიბერე მქონდეს ჩემს ქვეყანაში, რომ თავისუფლად შემეძლოს ჩემს თანატოლებთან კომუნიკაცია, მათთან შეხვედრა, რადგან ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩემთვის. სიცოცხლის ბოლო წლებს ბედნიერად გავატარებდი, მაგრამ...

## **My Story**

### **Angelina Phurtseladze-Sarukhanasvili, 85, Sagarejo**

Most of my life has been spent taking care of children in Manavi. I also raised four children of my own.

A serious accident radically changed my life. I became disabled, in a wheelchair.

My children found their own ways in life, though they haven't left me without attention. But I still feel that I am alone.

You might be surprised but I still have a lively mind and energy to do things despite my old age. My health condition restricts me in many cases but I do my best to face all life's challenges from a wheelchair.

Tired from loneliness and constantly waiting for somebody to come, I felt isolated and pointless. But one exceptional day changed the rest of my life, filled my heart with hope and brought me back to life. That day was when young people from the Red Cross came to visit me: I was very surprised and at the same time happy that somebody had remembered me. They used to come to my home very often. These volunteers brought joy and happiness to my life. We talked a lot, played backgammon, they shared news with me. I am very happy and have forgotten that I am alone. I forgot my disability. Once they told me that they had a social centre where people of my age meet and do things together. As soon as I found out that there was a knitting group in the centre I immediately wanted to go there, to teach others and to learn new things, as I like knitting very much ... but in Georgia there are not many places you can go in a wheelchair. Even if you manage to do it once, with people's help, what will you do the next time? You can't have 5-6 strong people around every day to help you to get to the centre. This is impossible and my initial happiness suddenly disappeared but then I thought it would be possible to bring materials to my home and I could knit there, and afterwards my finished knitting could be taken to the centre. Thus, I could be useful, able to assist and do things. The centre agreed and included me in its knitting group. I knit socks and scarves, which are taken to exhibitions, where they are sold. You can't imagine how I would like to see things I've knitted at exhibitions but... When they are sold, the volunteers tell me about it and tears of joy flow down my face...

It was difficult for me to imagine that I would be able to use my skills and be of use to society at this age.

I wish I could communicate with people of my age and meet them. It would make a big difference. I would have enjoyed the last years of my life but....

## **My Story**

### **Angelina Phurtseladze-Sarukhanasvili, 85, Sagarejo**

Most of my life has been spent taking care of children in Manavi. I also raised four children of my own.

A serious accident radically changed my life. I became disabled, in a wheelchair.

My children found their own ways in life, though they haven't left me without attention. But I still feel that I am alone.

You might be surprised but I still have a lively mind and energy to do things despite my old age. My health condition restricts me in many cases but I do my best to face all life's challenges from a wheelchair.

Tired from loneliness and constantly waiting for somebody to come, I felt isolated and pointless. But one exceptional day changed the rest of my life, filled my heart with hope and brought me back to life. That day was when young people from the Red Cross came to visit me: I was very surprised and at the same time happy that somebody had remembered me. They used to come to my home very often. These volunteers brought joy and happiness to my life. We talked a lot, played backgammon, they shared news with me. I am very happy and have forgotten that I am alone. I forgot my disability. Once they told me that they had a social centre where people of my age meet and do things together. As soon as I found out that there was a knitting group in the centre I immediately wanted to go there, to teach others and to learn new things, as I like knitting very much ... but in Georgia there are not many places you can go in a wheelchair. Even if you manage to do it once, with people's help, what will you do the next time? You can't have 5-6 strong people around every day to help you to get to the centre. This is impossible and my initial happiness suddenly disappeared but then I thought it would be possible to bring materials to my home and I could knit there, and afterwards my finished knitting could be taken to the centre. Thus, I could be useful, able to assist and do things. The centre agreed and included me in its knitting group. I knit socks and scarves, which are taken to exhibitions, where they are sold. You can't imagine how I would like to see things I've knitted at exhibitions but... When they are sold, the volunteers tell me about it and tears of joy flow down my face...

It was difficult for me to imagine that I would be able to use my skills and be of use to society at this age.

I wish I could communicate with people of my age and meet them. It would make a big difference. I would have enjoyed the last years of my life but....